

მეფემსი

საქართველო
1918



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

გმოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთსათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მამუარაღნი და ტვირთ-მამიენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 19

1883-1891

1—15 ოქტომბერი.

| | | | |
|---------------|--------|-----------|--------|
| გ ა ზ ე თ ი ს | | ფ ა ს ი : | |
| 12 თთვი | 5 მან. | 12 თთვი | 6 მან. |
| 6 — | 8 — | 6 — | 4 — |

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
გვ. Kviriyev, Вa редацiи «Миселси» и «Пастыр».

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომლებიც იქნებიან დასაბეჭდავით გამოგზავნილი ვიცლად და გასავებად უნდა იყვნენ პეტროპოლის სელ-მოწერილი, სტალია, რომელიც არ დაბეჭდება, საი თვის განმავლობაში შეიძლება ვეტორებს მაისის წარუთა უკანვე დაგზავნენ სტატიები მიიღებან რუსულს ენაზე დაწერილი და თარგმნით დაბეჭდებან.

სამართემლოს ძველი ტაძრები და მათი მინიშნელობა.

მრავალ-ტანჯულს საქართველოში მოიპოებინ ბერი ძველი ტაძრები, რომელიც წარმოგვიდგენენ ჩვენი წარსული ცხოვრების ათი-თხუთმეტი საუკუნის უტყუარ და ცოცხალ მატარებს. ამ ნაშთების თვლით გვიცქერის ჩვენ წარსული დიდება ჩვენი სამშობლო. სწორედ ეს ძველი ტაძრები არიან გამომატყენი ჩვენი ძველი დიდებისა და აწინდელი ჩვენი უზადრუკობისა. რამდენ რასმე მოაგონებს კაცს მათი შექმუნნილი, მაგრამ კიდევ შეუმუსყრელი

სახე. ზოგი მათგანი, თუმცა მტრებისაგან იყვნენ დამწვარი და დანგრეული, მაგრამ კიდევ კარგ ხანს გასძლებდენ სასიქადლოდ ჩვენსა, რომ მათ თენ მიგვეწოდებინა ხელი შემწეობისა და ცოცხათი მაინც გავცემაგებინა მათი დაძაბუნებული შენობა. მაგრამ ჩვენ არამც თუ არა ფეოქრობდით მათ განახლებამდე (ენკენიობა), არამედ ხელა უწყობდით იმათ დანგრევას, ვაცილით კედლებიდან ქვებს და იმ ქვებით ორ-სამ საართულიან სახლებს ვაშენებდით. ჯამთა ვითარებამ შეიბრალო ჩვენი ძველი ტაძრები, სამულამოთ არ შემუსრა იგინი, ჩვენ კი შევეხეთ მათ ჩვენის მკრეხელის ხელით, დავანგრიეთ ღვთის

საბანებლები, რომლებშიაც ლოკულობდნენ წინაპარნი ჩენნი და რომლებშიაც მოიპოვეს მათ საუკუნო განასახენებელი.

ჩენნი დაუდგებობა ძველი ნაშთების შესახებ იმიტომ ხდება, რომ ჩვენ ჯერეთ კიდევ ვერ შევიგნეთ მათი მნიშვნელობა. ახლის გაკეთება არ შეგვიძლიან და ძველებსაც არ უფროთხილდებით. სხვები ჩვენ მხნე მამა-პაპათაგან აღმართულ ტაძრებსზედ სწავლობდნენ ხუროთ-მოძღვრებას და მათი გვეგმებით სარგებლობდნენ. ჩვენ კი გულ-ხელ დაკრეფილი შევსკეპრით მათ, თითქო ეს შესანიშნავი ნაშთები ჩვენ არ გვეკუთვნოდაც, თითქო სტუმრები ვიყვნეთ ჩვენსავე სამშობლოში! ჩენნი წინაპარნი დიდის თავ-განწირულებით იცადენენ ჩვენ სამშობლოში მამა-პაპურ ნაშთებს, რომ პირ-ნათლად გადმოეცათ ისინი შთამომავლობისათვის; ნეტარება იმათ, რომ აღასრულეს თავისი წმიდა მოვალეობა, — ჩვენ კი ამ მშვიდობიანობის დროს არამც თუ არ ეუფროთხილდებით ამ დიდებულ ნაშთებს, არამედ თავიანთ ვეგადეთ მათ გაკარცვას, შევიწროებას და შეწყვეტვას.

ჩვენ ძველ მამა-პაპებულ ნაშთებს აქვს თორიანი მნიშვნელობა: ისტორიული და არქეოლოგიური. როგორც ისტორიული მონუმენტები, იგინი წარმოგვიდგენენ სარკეს, რომელშიაც ცხადათა ეხედვით წარსულის დროს, როდესაც საქართველო წარმოადგენდა ერთ დიდ სამხევრბლოს, რომელზედაც XV საუკუნის განმავლობაში თავ-განწირულნი წინაპარნი ჩენნი სწირავდნენ თავიანთ სიცოცხლეს სამშობლოს, ქრისტიანობის და ეროვნების დასაცველად. რამდენ საგულისხმეოა აზრს მხადავენ ჩენნი და რამდენ შესანიშნავ ისტორიულ შემთხვევას მოგვარდნებენ ეს მოხუცი მოწამენი ჩენნი წარსულისა. როგორ ამხნეებდნენ ეს ძველი ტაძრები ჩვენ ტანჯულ წინაპართ, რომელთა სახელები არიან ჩაწერილნი საუკუნო მოსახსენებელ წიგნში.


არქეოლოგიურის მხრით ეს ნაშთები შესანიშნავნი არიან თავისებური გვეგმით და განვითარებულ შენობებით. სხვა ქვეყანაში არ მოიპოება იმდენი მშვენიერი და მკვიდრი ნაშთები, რომელნიც მოვენილია საქართველოს სხვა და სხვა მიერადნლი კუთხებში; ბევრი მათგანი ჯერეთ კიდევ არ არიან ცნობილნი. განსაკუთრებით ჩენნი ტაძრების გვეგმას, რომელიც მარტვით მხატვას ქრისტიანობრივ დიდ იდეას, მოჰყავს მხახველი განცვიფრებაში. წინა

პირველად ჩენნი ქრისტიანობის მიღებისთანავე, გაერცვლა ეიზანტიური გვეგმა ეკლესიურის შენობისა, ეს გვეგმა ქართველებმა შეიმუშავეს, თავის ხასიათი მისცეს და ამ ნაირათ შეადგინეს საეკლესიო არქიტექტურაში ცნობილი იბერიული გვეგმა.

გ. საბავლოვი—ივერელი.

კიჰვის და ვალისურის მიტროპოლიტი პლატონი (ნეკროლოგი.)

1 ამა ოქტომბერს, ექვსი დღის ავად-მყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა კიევის და ვალისურის მიტროპოლიტი პლატონი, შობიდან 89 წლისა. მაღალ ყოვლად უსამღვდელოეკი პლატონი, ერისკაცობაში ნიკოლოზ ივანეს ძე ბარაღეციკი, დაიბადდა 1803 წელში. იგი იყო მრევლის მღვდლის შვილი. მამა განსვენებულისა იყო კაცი კეთილი და განათლებული, რისთვისაც ამ სულიერ მწყემსს პატრის სცემდა არა მარტო მისი სამწყსო, არამედ მახლობელი სამრევლოებიც. მ. იონანეს ჰყავდა ხუთი ვაჟ-შვილ, მათში უფროსი იყო აწ განსვენებულ მიტროპოლიტი პლატონი. რვა წლამდის ნიკოლოზი იზრდებოდა მამის სახლში. მშობლებმა ასწავლეს მას კითხვა და ვაღობა. როცა რვა წლის შესრულდა, ნიკოლოზ გოროდეციკი მისცეს სასწავლებლად არქეესკის ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში. ამ სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ, ნიკოლოზი, როგორც ერთი საუკეთესო მოწაფე, გაგზავნეს ტერის სასულიერო სემინარიაში. ტერში ნიკოლოზ გოროდეციკი სცხოვრებდა ერთ თავის ნათესავ მედავითნესთან. სემინარიაში სწავლას დამთავრების შემდეგ ნიკოლოზი, როგორც საუკეთესო ნიჭიერი და შრომის მოყვარე სტუდენტ გაგზავნილ იქნა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. აქ სწავლა დამთავრა მან 1827 წელში ღვთისმეტყველების მაღალტრის ხარისხით. აკადემიაში სწავლის დამთავრების შემდეგ ნიკოლოზ გოროდეციკი, 7 სექტემბერს 1827 წ. დანიშნა ორლოვის სემინარიის მასწავლებლად, ხოლო 27 ოქტომბერს 1829 წელს იგი გადაყენილ იქნა პეტერბურგის აკადემიაში. ორლოვის სემინარიაში ნიკოლოზ გორ-



აქრძეშუ, უკომადხელე ქოცოთო ქოცოთხილუდინ შოხელ-
 უმქიწოყოთხილ, მს კომოე აუო ლოშთაქელეჩეჩეყოთ ქოცო-
 თითქ ქოცოთხილ უდოეფ, ზე ქოცოთხილ შახუდინ ლოშთა-
 ქელეჩეყოთხილ ქოცოთყოთო ზე ზეშეყოთქოცოთო ქოცოთყო-
 თოთი ადოთი უდინდოთინ, აუქოთყოთყოფ ლე ქოცოთქი ქოცოთხილ-
 უდინ ქელეშთაქოცოთყოცოთოთე ყოქოთოთ ზე ხელეყოთყოცო-
 თოთ შოხუდქი ქოცოთქი აუო, თოთყოთოლ ქოცოთქი ზე ლეყოთყოცო-
 თოთ ხქოცოთყოთყოთოთ, ხელეშოყოთოთ ზე ხელეშოცოთქი
 ქოცოთქი, უყოქოქოქოქოქი ქოცოთქი შოქოთი ხელეყოთყოთყოცო-
 თოთ ყოქოთოთ, ზე უდშოთყოთქილ ქოცოთქი ქოცოთქი შეცოთყოთყო-
 ქოცოთყოთყოთოთ შოთ ყოქოთოთ ხელეყოთყოცოთოთ. ძეშო-
 თოთ ქოცოთყოთყოთყოფ ყოქი შოქოთ ყოქოცოთყოცოთოთ-დოთ, ზე
 ლოცოთ ხილ ლოცოთ ყოქოთყოთყოცოთოთ ქოცოთყოფ ყოქოთ ლოცოთ
 ყოთოთ. ზეფ ოყოფოთ ოშოქოთოთ ქოცოთქი, თოთყოთოთქი
 უდშოთოთქილ ქოცოთქილ აქოთქოქოქოთი ყოქოთი აქოქოქოთოთქი
 შეცოთყოთყოთოთ აქოქოთოთ, აუქოთყოთყოფ ლე ქოცოთქილ უდ-
 შოთყოთქილ ქოცოთქილ უდშოთოთქილ ქოცოთქილ შოქოცოთყოცოთოთ
 ყოქოთოთ, ზე ნოთ აქოქოთყოცოთოთ-ყოთოთოთ უდშოქოცოთქილ
 ქოცოთქილ ქოცოთქილ ზე აქოთოთოთ ლოცოთ შოქოცოთოთ ყოქო-
 თოთ, ხილ ლოცოთოთ უდშოქოცოთქილ ქოცოთქილ-ქოცოთქილ ხელ-
 ეყოთოთ ყოქოთ, ზეშოთ, ზე ძოთ, ზე ზეშოთხილ ხელ-
 ეყოთოთ, ლე ზე ზეშოთქი, ზე აქოქოთოთ აქოქოთოთქილ-
 ზე. ლოქი.

სასკელობითი უმაღლესი უქოცო.

ახლად დაბადებულის დიდის მთავრის ლეიტენანტი პე-
 ლეს ძის მისი იმპერატორებითი უმაღლესობად სა-
 ხელწოდების შესახებ.

უქოცო უმართებულებო სენატისადმი.

კაოვაცსადეთ რა, ამა რიცხვსა მიცემულს
 მანიფესტში დაბადება, ექვს ამა სექტემბრის
 დღეს, დიდის მთავრის დეპუტატი ჰაველს ძისა,
 ვერბანებო: ეს ახლად შობილი ჩვენი მის-წუ-
 ლი, ეოველს საქმეში, სდაც შეშენის, იწუ

რებოდეს და იწოდებოდეს იმპერატორებითი
 უმაღლესობად.

ნამდვილზე მისი იმპერატორებითი უღიღებუ-
 ლესობისაგან ხელ მოწერილია:

«აღუქსანდრე».

პეტერბურგო.

18 სექტემბერს 1891 წელს.

უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის
 ბრძანება, 4 ამა სექტემბერს:

უწმიდესის სინოდის უფროსი მდივანი, კო-
 დეცესი სოვეტნიკი რუშინსკი დანიშნულ იქნა
 უწმიდესის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის
 კანტონის პროკურორისა და კანცელარიის
 მმართველის თანამდებობის აღმასრულებლად
 (ამა 1881 წელსა 4 სექტემბრიდან).

უმაღლესი ბრძანება.

ხელმოწევი იმპერატორმა, 7 სექტემბრის
 დღესა, უმაღლესად იწინა დამტკიცება უწმიდესი
 სინოდის უქვეშევრდომეფისი მოსწენებისა თბი-
 ლისის სემინარიის რექტორის არქიმანდრიტი
 ნიკოლოზის აფიუტის და ალიასინსკის ეპის-
 კოპოსად დანიშვნის შესახებ, ასე რომ ხირო-
 ტონია, მისი ეპისკოპოსად კურთხევა შესრუ-
 ლებულ იქნეს პეტერბურგში.

უწმიდესი და უმართებუფესი სინოდის
 განჩინებით, 11 სექტემბრიდან ამა წელსა, რექ-
 ტორი მოკიდეცის სემინარიის არქიმანდრიტი
 ტინოანი დანიშნა თბილისის სასულიერო სემი-
 ნარიაში იმავე თანამდებობაზე.



ნახელსაქმებით. მრთი სეგტი გაუკეთებიათ საცოლო ახალგაზღვებს, ერთი სეგტი დრო გადასულ საცოლო კაცებს, თალი გაუკეთებიათ ქერიებს. ამის გარდა, კერძო პირთ მოუზარებიათ და შეუწირავეთ ქვები, რომლებითაც აღშენებულია ტაძარი. ამ შემზარებვაში შემწირველის სახელი ამოჭრალია ქვის წინა პირზე. ძეგები არის ორ ნაირი სიდიდისა: არიან ისეთი ქვები, რომელთაგან თითოა ღირს 300 და 1300 ფრანკი. ტაძრის შშენებელთ გამოუვანიათ ერთგვარი მსხვილი ქალღღებნი. თითოეული ეს ქალღღი დაყოფილია 1200 ითხკუთხ ხაზებად. თითო ხაზი ღირს სამ კაპეიკ ნახევარი. მსურველს ნება ჰქონდათ თავისი სახელი ჩეწურა რომელიმე ხაზში და გადაეხადა სამ კაპეიკ ნახევარი. როცა ყველა ხაზები გაიფსებოდა სახელებით, ერთი ქვის ფასი უკვე იკრებებოდა. ამის შემდეგ ამ ქალღღს შეხაკევედენ, ჩასდებდენ ჭუქის სქელს მაღში, რომელსაც სდებენ ქუქის გამოჭრილში. რადგან ასე ადვილი იყო ხელის მოწერა, ამიტომაც შეიკრიბა ამდენი შეწირულება ამ ტაძრის სასარგებლოდ.

შეიძლება თუ არა დაეძარხათ აღმშენებელნი იმისათვის, რომ მათ თითოეული ნაწილი ტაძრისა გაჰყიდეს, ხოლო შემწირველთ უსაყვედუროთ, რომ მათ ეს ტაძარი ნაწილ-ნაწილ შეიყიდეს? შეიძლება თუ არა ვაეუგვოთ შემწირველთა სურვილი, რომ მათი სახელი სამუდამოდ იყოს დაცული იმ ტაძარში, სადაც იღიდება ყოველად წმიდა სახელი ლეთისა? ჰოველი კაცი ცდილობს თავის სახელი საუკუნოდ დაუეწიყარი დასტავოს ქვეყანაზე. მაგრამ საფრანგეთის ხალხი წინააღმდეგია რუსეთის მართლ-მადიდებელი ხალხის ჩეულებებისა, რომელსაც ჩეულებად აქვს შესწიროს რამე ტაძრის თავისი სახელის ერთ დროებითი ანუ საუკუნო მოსახსენებლად. მაგრამ ეკლესიური მოხსენება იმიტომ კი არ არის დაწესებული, რომ კაცის სახელი ხალხის სანახსოვროდ დარჩეს. არამედ ეს არის ლოცვა, რომელმაც უნდა მიანიჭოს მადლი ლეთისა მათ, რომელთაც ამ ლოცვაში იხსენიებენ: უფრო ძლიერია ეს ლოცვა მაშინ,

როცა ასეთი ვედრება სრულდება უსისხლო მსხვერპლის შეწირვის დროს, როცა გამოითხოვება ლეთისაგან მადლი მთელი ქვეყნისათვის. რასასარგებლოა, როცა კაცის უბრალო სახელი რჩება სანახსოვროდ, როდესაც კაცის უმთავრესი არსების ნაწილი არის სული და არა სახელი. ძაცისათვის საშუაში უნდა იყოს არა სახელის დაკარგვა, არამედ სულისა. თუ რამოდენად სასიამოვნოა ლეთისათვის, როცა კაცი ცდილობს თავისი სახელის დაუეწიყოდ დატოვებას ქვეყანაზე, ეს ცხადათ არის გამოხატული «დაბადებაში», რომელშიაც მოხსენებულნი არიან ბაბილონის გოდალის მშენებელთა სურვილი, რათა სამუდამო მოსახსენებლად დაეტოვებიათ თავის სახელი? ასეთი სურვილი არ ეთანხმება ქეწმარტ სარწმუნოებას; სარწმუნოება ითხოვს, რომ კაცმა თავის სახელი დაუეწიყარი გახადოს არა თავისი ძალადობით, არამედ თავისი კეთილი და ლეთის სასიამოვნო საქმეებით. ძაცისათვის ის კი არაა საჭირო, რომ ის ხალხმა არ დაიეწიყოს, არამედ ის, რომ ლმერთმა არ მოაკლოს მას თავისი ლეთაზრები მადლი, ამიტომ იმას კი არ უნდა ეცდილობდეთ ჩვენ, რომ ჩენი სახელები დაიეწიყოს ქვეზე, ან შენახულნი იქნან შუშის მიღებში, არამედ უნდა ვზრუნავდეთ, რომ ჩენი სახელი ლოცვაში იხსენიებოდეს ლეთის ტრაპეხის წინაშე, რომ ამით მოვიპოვოთ ლეთის მადლი, რომლის მოვლინებას ვედრებოდა ლმერთს ავახაკი და იტყოდა: «მომიხსენე მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა».

როგორც ამ მაგალითისაგან, ისე მრავალი მაგალითებისაგან სჩანს, რომ მართლ-მადიდებელი ეკლესიის ჩეულებას აქვს საუფუველი, როცა იხსენიებს ლოცვის დროს გარდაცვალებულთა სახელებს და ეს საუფუველი გამოწეველია კაცის სულის მოთხოვნილებათგან, რომელსაც ნამდილოდ სწამს, ცხადთ და მართლად ესმის, რაც ნამდილოდ საჭიროა მისი სულისათვის და ცდილობს, რომ თავის სარწმუნოება წმიდად დაიცავს. მინ არის მისი წინააღმდეგი, რომ ტაძრისათვის საჭიროა შეწირულება-

საქართველო
მედიცინა

ნი? რა არის ურიგო, როცა შემწირველი ცდილობს, რომ მისი სახელი იხსენებოდეს ტაძარში ღვთის-მსახურების დროს? მანა ყოველი ქრისტიანისათვის აუცილებლად საჭირო არ არის, რომ მისი სახელი იხსენებოდეს ტაძარში წმიდა ტრაპეზის წინაშე, რომელმაც სრულდება უფშიდესი უსისხლო მსხვერპლი?

გ რ ა შ ი ს მიმწოდებელი, რომ თამბაქოს მიწინააღმდეგეა, რომელიც მარტო-ღა დარჩენია გასართობათ და თავისი ჩამქალოს სიკაცხლის მოსაწინააღმდეგედ, რომ დაჩეულება კაცმა, ჩაი მიწინააღმდეგეა, — საავადმყოფოს მოხელეთა თქმით, ამას არა ჰყავს...

ნუ თუ აქამდისაც მივიდით!

და ვინ იცის, რამდენსა აქვს რეჩი დამზადებული, რომ წარმოასთქვას სასულიერო მწერლის საფლავზედ, რამდენი ამზადებს დაუნის გვირგვინს!.. ერთის დაუნის გვირგვინის ჩაი-შაქარი და თამბაქო სრულიად ეყოფოდა ამას თავის მოსწრავებულის სიკვდილის ღვთისმშობლის (ეივერია).

აღ. ყაზბეგის (მოჩხუბარიძის) შესახებ.

(წერილი რედაქციასადმი).

საკვირველს ხასიათს იჩენს ჩვენი საზოგადოება: მინამ არ მოკვდება ჩვენი საზოგადო მოღვაწე, ჩვენის ლიტერატურის ასაარსებზე მშრომელი, მინამ, რაც უნდა ღვთს ადგეს, რაც უნდა გაკვირებში იყოს, კაცი არა ჰყავს ყურის მგდებელი, გულის შემბატონარი, როდესაც საცოდავ იოსებ დაეითაშვილივით სადმე ჯურღმულში სიმშლი სულს არ ამოართმევს, მაშინ დაედგებით მათს საფლავზედ და მოეთქვამთ მწარედ და ეჭვითინებთ, და თვით იგინივე, ვინც უკანასკნელი ღუგუამ გამოაცალა პირიდან, სწორავენ ფულს ძეგლის ასაგებად.

ამავე გაზეთში ვკითხულობთ: ჩვენ მივიღეთ «ქართულ წიგნების ბეჭედის ამხანაგობის» გამგეობისაგან შემდგერი წერილი შესახებ აღ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძის): «მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩვენი დაფუძინებული მწერალი აღ. ყაზბეგი (მოჩხუბარიძე) სულით ავადმყოფთა სამკურნალოშენა. ფრიად სასიამოვნოა, რომ ქართველმა საზოგადოებამ ახლა მანც ყურადღება მიაპყრო ქართველ მწერლის მდგომარეობას და არ მისცა დაეიწყებინა ისე, როგორც წარსულში სხვები. რაჟი ყველასათვის საინტერესოა გავიგოს «ვლადიკისა», «მოძღვარისა» და სხვა მოთხრობების ავტორის მდგომარეობა, ჩვენ შეგვიძლიან ამის შესახებ ვთქვათ შემდეგი: ამხანაგობის გამგეობამ, გავიგო-რა აღ. ყაზბეგის საავადმყოფოში წაყვანა, აცნობა იქაურს ზედამხედველ ბ. ნ. კახეთელიძეს ვინაობა ყაზბეგისა. ჩვენდა სასიამოვნოდ ვაგვიგეთ, რომ თვითონ ბ. ნ. კახეთელიძე იცნობდა და მასხალადმე უყურადღებოდ არ დასტოვებდა და, როგორც აღმოჩნდა, არც დაუტყვევებია, მიუხედავად ამისა, 2 აგვისტოს ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარემ მისწერა ბ. ნ. კახეთელიძეს, წეგის ამხანაგობისას, შემდეგი წერილი: «...უმორჩილესად გთხოვთ თქვენ, როგორც ამხანაგობის წეგის, რიგინი ყურადღება იქონიოთ ბ. ნ. ყაზბეგზე და მიაწოდოთ, რაც საჭირო იქნას მაგიასათვის და რაც საავადმყოფოს გამგეობასაგან არ

მინ არ იცის, რომ ჩვენი სასახელო, ჩვენი უნივერსიტი ბელეტრისტი, აღმკსანდრე ყაზბეგი (მოჩხუბარიძე) იმყოფება ღვთის საავადმყოფოში, ჩავარდნილი თითქმის სრულს უგონობაში. კაცმა, რომელმაც ამოდენა ამაგი და ღვაწლი დასდო ქართულს მწერლობას, რომელმაც საოცარი მხატვრობით, ჩვენში უმაგალითო დაკვირვებით, შემჩნევით და გამოკვლევით დაგვანახა ჩვენი ხალხის გული, ჩვეულება, ადათი, კანონი, წესი, აქამდის ხელ შეუხებელი და სრულიად ჩვენგნითა უფინიშნავი სოციალური წყობილებანი; რომელმანც ღიღებულის მხატვრობანი შეამკო ღიღებულის მაღლის აზრებით და შემოსა ღიღებულისავე იღვებით, — ღღეს ეს კაცი არის დარჩენილი მარტო იმ ულუფის ამარა, რომელიც ეძლევა საავადმყოფოდგან. არც მწახველი, არც



დგეკი ასწავლიდა ფიზიკას, მატემატიკას და ბერძნულ ენას. ამავე სემინარიაში ასწავლიდა ის ფრანგულ ენას. ამავე დროს ნიკოლოზ გორდევკი ასრულებდა სემინარიის რჩევის სერეფტის თანამდებობას და სემინარიის ინსპექტორის მოვალეობას. პეტერბურგის აკადემიაში ნიკოლოზი პირველად დაინიშნა ბაკალავრის თანამდებობაზე და ასწავლიდა ბერძნულ ენას, შემდეგ კი ასწავლიდა ზნეობითი ლეთაჰმეტყველებას. ამ საგნის შესახებ მისმა ლექციებმა მათქმია ყველას ყურადღება: მან პირველად შემოიღო ამ საგნის რუსულს ენაზე კითხვა. მანვე შეიქმნა მის დრომდე სრულებით მივიწყებული საგანი რუსის მწველებლების შესახებ.

1830 წელში ნ. ი. გორდევკი აღიკვეცა ბერძნულად. მას თავდაპირველადვე ჰქონდა სურული ბერძნული ალექსანდრია, ბერძნული ალექსანდრია ნიკოლოზი ალექსანდრია-ნეველის მონასტერში 17 მაისს, 1830 წ. და სახელად ეწოდა პლატონი; 26 მაისს ამავე წელს ბერძნულ-მონასტერში პლატონი დაინიშნა ამავე მონასტრის მღვდელ-მონაზვნად. 6 ნოემბერს 1831 წ. პლატონი დაინიშნა პეტერბურგის აკადემიის ინსპექტორად და ადვანსად იქმნა არქიმანდრიტის ხარისხზე. აკადემიაში არქიმ. პლატონი ასრულებდა სხვა მოვალეობასაც; იგი იყო გამგე წინგთ-საცვისა, საპარტიელის და სასულიერო საცნაურთა კამიტეტის წევრი და ამავე დროს მისი რედაქტორობით იცემოდა «Хрис. Чтения». პეტერბურგში განსვენებულმა პლატონმა გამოიჩინა მჭერ-მეტყველური ნიჭი. ამ ნიჭის წყალობით პლატონმა მიიქცია ყველას ყურადღება, როგორც შესანიშნავმა მქადაგებელმა. 1831 წელში პლატონმა წარმოადგინა ქადაგება ბოლოერის შესახებ, რომელიც მჭერ-მეტყველურში. ამ ქადაგებამ ძლიერ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, ასე რომ მთელს სატახტო ქალაქში ყველა ამ ქადაგებაზე ლაპარაკობდა. ბოლოს ეს ქადაგება მოითხოვა ხელმწიფე იმპერატორმა ნიკოლოზ პავლეს ძემ მიტროპოლიტი სერაფიმის ხელით. ხელმწიფემ ქადაგების წაკითხვის შემდეგ, ბრძანა: «ყურადღება ექმნეს მიტროპოლიტი ამ ახალ-გაზრდა მქადაგებელს.» ამის გამო არქიმანდრიტი პლატონი ისევ პეტერბურგში დარჩა და აღარ გაუზღუნიათ არხანგელსკში, სადაც გადაწყვეტილი იყო მისი გაგზავნა სემინარიის ინსპექტორად. 1837 წელში არქიმანდრიტი პლატონი დაინიშნა

კოსტრომის სემინარიის რექტორად და ამ თანამდებობაზე დარჩა აპრილის თვემდის 1839 წლის.

28 აპრილს 1839 წელს არქიმანდრიტი პლატონი დაინიშნა ვილნოში წმიდა სასულიერო მონასტრის წინამძღვრად. ლიტუვის მიტროპოლიტის იოსებ სიმასკის თხოვნით არქიმ. პლატონი დაინიშნა კოვენსკის ეპისკოპოსად, ლიტუვის ეპარქიის მეორე ეპარქად. ამ ახალს თანამდებობაში ყოველად სამღვდლო პლატონმა თავი გამოიჩინა თავისი ნიჭით. იგი იყო მახლობელი თანამშემწე მიტროპოლიტი იოსებ სიმასკის და ამავე დროს მათმა მეუფებამ დიდი სამსახური გაუწია ეკლესიას და რუსეთის დასავლეთ რუტში და სამღვდლოებას.

1848 წელში, 6 ნოემბერს ეპისკოპოსი პლატონი დაინიშნა პსკოვის ეპარქიის ეპარქიის ეპისკოპოსად. 1849 წ. იგი დროებით მმართველად პსკოვის ეპარქიას 1856 წლამდე.

1856 წელში, 11 მარტს პსკოვის ეპარქიაში დაარსდა დამოუკიდებელი ეპარქია რიჟკისა. ამ ეპარქიის ეპისკოპოსად დაინიშნა პლატონი. ამავე წელში ყოველად სამღვდლო პლატონი დაინიშნა მთავარ ეპისკოპოსად. 18 წლის განმავლობაში მთავარ ეპისკოპოსი პლატონი სწორედ მამაშვილურ სამსახურს უწევდა თავის ეპარქიის მკვიდრთ. მათი მეუფება იყო ბრძენი და ერთგული მკველი ხალხობის, საწმენოების და სახელმწიფო ინტერესების: იგი იყო მღვდელ-მთავარიც, სახელმწიფო კაციც და მოღვაწეც. მთავარ-ეპისკოპოსის პლატონის მეცადინეობით 1851 წელში რიჯკაში დაარსებულ იქმნა სასულიერო სემინარია. მწყემს-მთავრის მეცადინეობით მისდამი რწმუნებულს ეპარქიაში დაარსდა საეკლესიო-სამრევლო სკოლები, რომლებშიც სწავლების საქმე ძალიან წარმატებით მიდიოდა. 1867 წ. რიგის ეპარქიაში იყო 107 საეკლესიო-სამრევლო სკოლა და პირველ-დაწყებითი 257, ამ სკოლებში სწავლობდა 9,500 ყმაწვილი. მიტროპოლიტის პლატონის მწყემს-მთავრულ მოღვაწეობას თვლსაზიარად ამტკიცებს ოსტების მხარეში მართლ-მადიდებელ პირთა გამარჯ-

ლებს: 1848 წელში, როცა მათი მეუღლეა დანიშნა რიკის ეპარქიის ეკარებისკოპოსად, აქ იყო 138,416 მართლ-მადიდებელი სული; 1866 წ. როცა მათმა მეუღლემ დასტოვა ეს ეპარქია, მართლ-მადიდებელთა რიცხვი იყო 180,846 სული; ე. ი. 40,000 კაცით მეტი. ვარდა ამისა მათმა მეუღლემ მოაქცია მწველებლობისაგან 2400 სული.

1867 წელში, 9 მარტს მწყემს-მთავარი პლატონი გადაყვანილ იქნა ნოვონერკასკში, დონის მთავარ-ეპისკოპოსის კათედრანზე. მწყემს-მთავარი აქ დარჩა 1877 წლამდე. ამ ეპარქიაში მყოფობის დროს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა პლატონმა დიდა ყურადღება მიაქცია ახალი ტაძრების აშენების საქმეს, სამღვდელოების განათლებას და ამ სამღვდელოების ნიეთიერი მდგომარეობის გაუჯობესობას. მან გამარავლა სკოლები და ყველასზე შესანიშნავის არის, რომ მათმა სტუდენტებმა მოაქცია მართლ-მადიდებელ სარეზერვებზე კალმეები და მწველებლები.

1877 წელს, 25 აპრილს მთავარ-ეპისკოპოსი პლატონი დანიშნა ხერსონში. ამ ეპარქიაში დარჩა მათი მეუღლეა სულ ხუთი წელიწადი. მათი მეუღლების მზრუნველობით ოდესაში, სხვათა შორის, დაარსდა ძმობა წმ. მოციქულის ანდრია პირველ წოდებულის სახელზედ. ამ ძმობის დანიშნულება მდგომარეობდა მასში, რომ მას დაეფარა მართლ-მადიდებელი სხვა-და-სხვა მწველებლობისაგან. ამ ძმობის სათანო ფულად მათმა მეუღლემ შეიტანა 1000 მანეთი. ოდესაში მათმა მეუღლემ 1877 წელში იღვასასწაულა თავისი ორმოც-და-ათი წლის სამსახური.

1882 წელს, 6 თებერვალს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი დანიშნა კიევის და გალიციის მიტროპოლიტად, სადაც მსახურებდა მათი მეუღლეა თავის სიცოცხლის უკანასკნელ წამამდე.

მიტროპოლიტი პლატონი დაჯილდოებული იყო უმაღლესი ორდენებითა. მათი მეუღლეა ითვლებოდა ბევრ დაწესებულებათა და საზოგადოების წევრად, მათ რიცხვში მიტროპოლიტი პლატონი იყო წვერი წმ. ელადიმირის საიმპერატორო უნივერსიტეტისა და კიევის სასულიერო აკადემიისა.

პ არქის ასლად აღმწინააღმდეგოლი მკადამია მრისტის გულის სახელზეად.

წელს პარქში მოათავს და აკურობის ერთი ტაძარი იქნა მრისტის გულის, ანუ სახაგრების საიდებლად. ამ ტაძარს აღწერების მოთავსება ეკისურის პარქის აწ უკვე განსვენებულს მთავარ-ეპისკოპოს ლიბერს, რომელმანც 1873 წელში გამოიხზოვა ნება-რთვა ტაძრის აშენებისა ფრანგების ნეტოვან განთავისუფლების სახსოვრად. ამ ტაძრის საძირკველი ჩაყარეს 1875 წელში. ამ ეკლესიის აღმშენების წინააღმდეგი იყო საფრანგეთის უმაღლესი მთავრობა და განსაკუთრებით პარქის ქალაქის რწევა, რომლის ხმოსანთა შორის მრავალია ურწმუნონი. მაგრამ ღმრის მორწმუნე ზოგიერთი ფრანგების მეცადნეობით, რომელნიც ვერ კიდევ უმეტესობას შეადგენენ და მრავალ შეწირულებათა მეოხებით საქმე სანატრელად დაგვირგინდა. ამ ტაძრის სასარგებლოდ შეტრება რვა მილიონი მანათი.

სხენებული ტაძარი არის აღმწინააღმდეგოლი რუსეთის ტაძრების მსგავსად: ოთხ-კუთხიანი სამრეკლო ბიზანტიური გუმბათით წინ აქვს მიდგმული ტაძარს, ხოლო ტაძრის უკან ამაღლებულია ეგებრთელა ბიზანტიური გუმბათი თვითონ ტაძრისა. ეს დიდი გუმბათი წმინტადგულია ოთხი პატარა გუმბათით.

ეს ტაძარი მთლად შეწირული ფულებით არის აღმწინააღმდეგოლი, მაგრამ აქ ეს კი არ არის შესანიშნავი, არამედ შესანიშნავა თვით შეწირულებათა შეკრება. ტაძრის აღმშენებლებმა, მინამ შენებებს და იწყებდენ, ტაძრის თვითოეული ნაწილი ვაკცეს. შეწირველთა გამოსცადებული ჰქონდათ, რომ ტაძრის იმ ნაწილზე, რომელც შეწირულებათა მეოხებით აღმწინააღმდეგოლი, დაწერილი იქნება შეწირველთა სახელებითა. ამიტომ სხვა-და-სხვა დაწესებულებანი, როგორც სასულიერო წოდებისანი, ისე საეროანი სწორადდენ ტაძრის სხვა-და-სხვა ნაწილებს; ზოგიერთებმა შესწირეს სვეტები, ზოგმა თალი, ზოგმა მგალობელთა მთელი დასადგომი, ერთი სიტყვით, ყველანი სწორადდენ თავის შექმნებისა და გვირად. მართი სვეტი შესწირეს თამბაქოს მწველებმა, რომელნიც ქეშმარიტად ინანებენ თავიანთ ცუდ ჩვეულებას. მართი სვეტი ააგეს ქალებმა, რომელთაც ამ სვეტისათვის საჭირო ფულები შეუკრებით თავიანთ

ეძლოდეს... კარგი იქნება გამგეობას კვირაში ერთხელ შეატყობინებდეთ ხოლო მეგის მდგომარეობას...“

ბ-ნი ყაზბეგს ჰამასმა რიგანი აქეს: დილით ეძლევა ჩაი, შაქარ-ჩაყრილი თეთრის პურით; სადილად ორ-ნაირი საჭმელი (წვინანი და შემწვარი) და, თუ მოთხოვს, მესამესაც ტუბილ საჭმელს აძლევენ. ერთმა გამგეობის წევრთაგანმა ორ ჯერ ჰნახა იკაური საჭმელი და აღმოჩნდა, რომ რიგიანად, სუფთად არის მომზადებული, ზოგიერთს რიგიანს რესტორანებში მომზადებულზე კარვად. ხოლო საღამოობით აძლევს ბ-ნი კახეთელიც ჩაის, თამბაქოს და პაპიროსს, რამდენიც საჭიროა; ხან-და ხან ხილსაც. ბ-ნი ყაზბეგი ჯანზე კარვად არის, მადა კარგი აქეს, მხოლოდ სულის ავადმყოფობასთან ენის სიმდაბლე აქეს. იმას ენატრება ნაცნობების ნახვა. ეინც მისი მეგობრები ყოფილან და შეუძლიანთ ამ გვარის ავადმყოფების ნახვა, დიდად ასიამოვნებენ, თუ ჰნახენ. ბ-ნი ყაზბეგი სჩივის მეგობრების მიერ დღეწეებას>.

ს ა ი ს ტ ო რ ი ო მ ა ს ა ლ ა .

გუჯრები

(დასსრულა *).

სითარხნის გუჯარა.

1798 წ. ქ. ჩვენ მაგიერად მოურავს ფრიდონს ჰანდიერის შვილს ასე ეუწყოს, მერე ამ არხის პატრონი, რადგან ამისთანა დარიბი და შეუძლებელი ხიზანი კაცი არის იმას ხარჯსა გამოსაღებსა ბევრას და ჯარიში ნუ გარეგ, რადგან სნეული არს და ნურას სთხოვთ და ნურკა რას გამოართმევთ. ივლილის კა ქორონიკონს შ.პ.პ. (ბეჭედი).

სითარხნის გუჯარა.

1751 ქ. ესე: წყალობის: წიგნი: დაგვიერთ: და: გიბოძეთ: ჩვენ: პატრონმან: ერისთავთ: ერისთავმან: შანშემ: და: ამისწულმა: ჩვენმან: დაეთიბა:

*) ის. «მწყემსი» № 18, 1891 წ.

გვაგია: შენ: იქეთს: ბეროშვილებს: თუქმანს: ქოქოსა: და: ბოხოს: და: მეზობელსა: შენსა: ჩოფანშვილას: ბათირას: გორას: და: ქუჯასა: ასრე: რომე: თაობით: იქეთს: მამულს: თქვენ: გვეპირათ: და: ნარიშამ: ქრთამი: მოგვართვა: და: ნარშას: უბოძეთ: მერმე: ხატის: მამული: ყაფლოც: იკითხეთ: და: ხატის: ყმანი: ყოფილხართ: ახლა: ნარშას: თავისი: ქრთამი: ისრევე: უბოძეთ: და: შენ: ქრთამიც: გამოგართეთ: და: ისრევე: თქვენ: თავს: წყალობა: გიქნა: და: იქვე: თქვენი: უწინდელი: აქეთის: გალმა: მამული: ახოები: ხატის: ყმანი: ყოფილხართ: და: ისრევე: ხატის: ყმანი: იყავით: ღმერთმა: მოგცეს: და: გიბედნიეროს: ქრისტემ: აქ: ჩ: ღ: მ: ჰეს: ულთ: 1).

1797 წ. ქ. ღმერთმან საქართველოს ხემწიფის ჰირი მომცეს ენთას მყოფს მახარებელს. ჩემო ხემწიფე იმერეთიდან გადმოვარდი, შეიდი წელიწადი ფხოველში ვახლდი და შეიდი წელიწადი, რომ აქა ენთას ვახლავარ იმერეთიდან ჩემი ნაბატონევი გადმოვიდა, ქრთამი დახარჯა და ორი ვაჟი და ერთი ქალი ჩემი შვილები დამტაცეს იასაულებმა და მიმიცეს იმ ჩემმა ნაბატონევი იმერეთს გარდასხა. ჩემი მეუღლე იმაზედ აუად ვახდა, ასე მითხრა, თუ შეილებს არა ენახე მოკვდებიო. წაველი იმერეთს იმათი მოპარვა დავაიბრე შემიტყეს და მეც დამიჭირეს, გაყიდვას მიპირებდენ გამოვეპარე. აქ რომ გიხებელ შეილებს ჯავრით ცოლი მომიკვდა ერთი ქალი დამჩნა ვართ ორნი ხელნი ჩვენი სარჩო და ქონება შენს მზეს ვფიცავ ერთი ღლის ყანა არის ისიც ტყისა რომ ნახევარ ღლის სავალი არის ის ჩემი ქალიც ექვისი წლისა არის, მე სხვა რიგად სწული ვახლავართ გვეყვრებით თქვენდა ასამაღლებლად რომ ბევარიდამ, ხარჯიდან და ჯარიდან მომთარხნოთ გამამთავისუფლოთ ივლისის კა ქორონიკონს უბე 2).

1) სასურდალბოა ფეოდალიზმის შესასწავლად, სითარხნის წიგნია.

2) ეს წერილი კარგად ასაბუთებს, რანაირ მდგომარეობაში იყო საბატონო გლეხი.



ნასყიდობას.

1688 წ... მარად ქალწულთა მარიამისა ზეცისა ძალთა ანგელოზთა მოწმობითა წმინდისა ათთორმეტთა მოციქულთა პეტრე და პავლესითა მოწმობითა წმ, იოანე დოქტორისათა... წმ, გორის წმ. გიორგისა... ოქროსის ხატის მოწმობითა... ნასყიდობის წიგნი მოგვც მე ტანისხილვან ჩემან თამაზამან შეიღმან ჩემან ნი (კოლოზმან?) შენ ვართელსა აღუას შეილსა ჩემსა დიწულსა თედორესა დაგვეჭირა მოგყიდეთ ტინის ხილისნატყევიდევ გემანის მიწის მადგომამდინ მოგყიდე ქონდეს და გაბედ (იეროს?) ღმთმა როგორც მრავალ ალაღსა ნასყიდსა მართებულს... რამანელ გვარამან კაცმან ანუ სხუამან კაცმან... შემოგვეცილოს თავად რისხავს ღმერთი ყოველნი მისნი ანგელოზნი... არიან ამინი მოწამენი ნონიკა მოგონსაშვილი, მე შერმაზუნ დამიწერია მოწამეცა ვარ—ქს ტოვ, მარტის ე. 3).

ნასყიდობა.

1737 წ. ნებითა და შეწვევითა მღვთისათა ესე ამირითვან ვამთა და ხანთა ვასათხებულათ ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგვეც მე კერხაძემ გიორგიმ შეილმა მამკლამ (?) სახლის კაცმა შენ ბალის შეილს კაცისა და მძასა შენსას გიორგასა ბერიძეს და ბერუასა შეილსა შენსას დაეთსა შენს ჩამომავლსა ასე რომა დამეჭირა და მოგყიდე ჩემი აღაღლი ნასყიდი ევენახი საბუნქროთა დინრიდის მიღგომამდინ ბოლოს ბრმაშვილის ევენახის მიღგომამდის ზეითა ბრმადინ თვისი წყლითა ავიღე ფსი სრული რითაც ჩემი გული შეგვეჯერდებოდა მოგვეცა და მოგებენდაროს ღმერთმა როგორც სხვას მონასყიდეს ქონდეს ან ქონდეს მოგვეცე. ეინც ეს ჩემი მიცემული მოშალას თითონაც შეიშლება თავისი სახილამ მას რის ხამს იესო ქრისტე. თვათ არის ამის მოწამე ღმერთი მერე გორელი ჯულაბაშვილი მანუჩარა დევიძე ნასყიდ კაცაშვილი დემეტრე ეკეშინიანი აეთანდილა მე ლომინაშვილს დამიწერია და მოწამეცა ვარ. ქს. უკე.

3) ნატყევიძე, გ. ო. ნატყევიძეან.

მე ჯულაბაშთა გიორგის შეილა მანუჩარა ამჟამად მოწამე ვარ 4).

ნასყიდობას.

1645 წ. ნებითა ღმთისათა მამისა ძისათა სულისა წმიდისათა ყოვლა წმინდისა ღმრთისა მშობლისა მარადის ქალწულთა მარიამისა თვეღებობითა შუამდგომლობითა ზეცისა ძალთა ანგელოზთა, მთავარ ანგელოზთა მიქელ ვაბრაელსა მთავარ ანგელოზის მოწმობითა შუამდგომლობითა წმინდისა გიორგისა გარიჯურის მოწმობითა შუამდგომლობითა წმინდისა ესტატისა მოწმობითა შუამდგომლობითა წმინდისა ოქროსის მოწმობითა წმინდისა იოჯა მახარაველსა წმინდისა იოჯანე დოქტორისათა წმინდისა იოჯანე ნათლის მცემელისა მოწმობითა შუამდგომლობითა თორმეტთა მოციქულთა პეტრესითა და პავლესითა წმინდანი ჩანიც სუნაქარაშვიან წმინდანი მოახსენებთან მათსა მოწმობითა შუამდგომლობითა ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგვეცე მე ჩვენსაქანსა შეილის შეილმა აკას შეილმან საქანან და ჰანაშან თქვენ ტერ-გრიკოლას შეილის შეილსა ოსკანას შეილსა ტერ დაეთსასა შეილთა შენთა ოსკანასა გრიკორასა სახლისა მომავლსა შენისათა დავექცირა მოგყიდეთ თავაკაშვილითა სხლ-ქარი ერთი გვერდი ერეკოდსაშვილის სახლის გვერდი ერთი გვერდი ბასტამასაშვილის სახლის გვერდი ქვემო გზამდინ ზემო შენის მიღგომამდისანი ავიღეთ ფსი რითაც ჩვენი გული შეგვეჯერდებოდა ქონდეს და გაბედნიეროს ღმერთმან როგორც მრავალსა ალაღსა ნასყიდსა მამულითა მართებულს ხელ გვეწვევოდას გასყიდეთ საწოდრათ რითაც ფერთა გინდოდეს მყოფე არავინა ყუანდეს თვინიერი ერთისა დღისა მეტე, რამც კაცმან ესე ჩემგან მოციქულთა წიგნი შევიშალას რისხავს თავად ღმერთი ყოველნი მისნი წმინდანი ზეცისა და ქვეყანისანი ეინცა ეღებებს შიშთული იყიდისა ძაწოდ კანინსა ნუმცა იხსნების სული მისი ჯოჯოხეთისაგან ამან და კილესიონ არიან ამისნი მოწამენი თავად ღმერთი ყოველნი მისნი წმინდანი კაცთაგან ბატონი თუმანის შეილი მთავარ

4) ეს სიგელი ასე ნაკლულად არს დაწერილია. საშავალითად მოვიყვან დასწავისს... უმთა და ხნთა გასთავებულათა ნასყიდობას...

ქვეთახევის ღეთისმშობლის ხატზედ:

1695 წ. ში ღრუბელი ნათლისაო და კილა-ბანა სჯულისაო მაყვილო შეუწევლო, რომელი გიხილა მოსე ჩვენ ცვა ფარვად ფრთეთა თქვენთა ქვეშე მოღვთაობისმან ღიღისა და სახელოებისა მეთვის 12 გიორგის თანა მემცხედრემან, სამის სახელმწიფოს სარდლის მიქელაძის ასულმან დედოფალმან პატარინმან ხუარამან, ეინებე შექცობა შენი ყოველთა შემამკობელი სასოგებო ჩენოა ქვათახევისა ღეთისმშობელია, რომელი გიხილე ავაზაკთაგან განძურცილი პირველ და აწ მეროდ ჩვენ შევამკეთ პატროსნად, რათა შემწე გვეყო წინაშე ძისა შენისა და მეუფისა ჩენისა.

მდეს ვამკობდი, მას ქაშა მოიწია ჩვენ ზედა განჩინებული სიკვდილი და ცანხელა უხანოსა სოფლის. აღვესრულე და არის სამარხო და განასვენებელი ჩვენი წინაშე შენსა ღებოა ნათლისაო, შენ შემწე მესხე. აღამის აქეთ შეგიდი ათას ორას სამსა: ქარონიკოსა ტპპ.

აღვესრულე თებერვლის 14-სა დღეს კვირიაცესა ქაშა პირველსა. მოიხსენე უფლო ხელოვანი გიორგი.

ბაბაილაუხისა.

ზორი ჯერის დეკანოზს იოსებს მიერთავს უმდაბლესად.

ასო მთავრულად ღორუ ქაღალდზედ სწერია: მ. მოწამეთა 1) შორის და უფლო ვარსკვლავო, ცრება შემმოუსერელი და მოწამეთა დიდო ღმობო ტანისა და ძელთა ჩემთა ბრძეღნი განმიკურნე მე მეფესა აღექსანდრეს რომელთა ეინებით ხატთა თქვენთა მოქება:

ჩვენ ღვთიე გიორგინოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან აღექსანდრე ეიგოულეთ 2) თანაშეწევნითა შენ ძლიერსა და ახოვანსა და ღვაწლ მრავლისა წმიდისა ღიღისა მოწამისა გიორგისათა და მოვაუქვინეთ ხატი მხვაესებისა თქენისი თაყვანისა ცემალად და საღიღებელად და დაგისვენეთ გორის

1) შირველი ასაკი აკლავ, დაჩენილია მხოლოდ... (წამეთა).

2) შემმოუსერელია = შემოსერელია; ეიგოულეთ = ეიგულეთ.

ჯვარს პატარასა შინა შენსა რათა განკურნო ჩემ შორისასა ამის ხორციელისა სალოამობისა და მიოხ მოსელასა მას მისსა დიდებითა რომლისათვის წამა 3) ახოვანებამან შენმან.

ქვეშ მოწერილია: «თანაწორ გაღებულ არს».

დამიტრია...

«ნიმარის».

«ივერიის» რედაქციას ზნეად სჭირს ერთი ჩვეულება: ხშირად იცის მოლაუბეთა მწერდებისა წვეულება.

ხშირათ უკვარს ჯაცის კიცხვა მიდგომით და ორპირულად, მაგრამ თვითონ კი ვერა გრძნობს და სთვლის მხოლოდ «სტირულად».

სხვის თვალში რომ ბეწვი ნახოს, შემოგვიცხვს — დვირეაო, და თვის თვალში დვირეცა კი ჭკობნია რომ წვილიაო.

რა ჭველები მდევდეს და ერსა ხოტბა სტუარტნა და განგმირა, *) სხვისი ჭუჭუი ჩვენს ერს მოსცხვა, განა იყო ის სატირანა?

შევიზინეთ და შეგვაწუხს, მივიზინეთ ასატირად, მაგრამ სწერდა «ივერია», არ ჩავთვალეთ გასაკვირად.

3) წამა ე. ა. აწამა.

მეფე აღქსანდრე იყო სამოც-და-მეჩვიდმეტე მეფე. ამან იმეფა 28 წელი, გარდაიცვალა 1442 წ. ქსს 130. ამ მეფე აღქსანდრემ ბაქო საქრთველო სამ სამეფოდ და სუთ სამთავროდ. ეს ზეად წარწერს გორაჯიფის წმ. გიორგისა კამოღებულთა 1799 წ.; როგორც შეგვამდგან დაესცნათ შეამდგე მიწურითა: «ქუფის აღქსანდრეს გარდაცვალებამ იქმნება აქამომეფ წელი სამის სამოც-და-მეჩვიდმეტე გასული. დამიტრია. 377-1422 (მ. აღქსანდრეს სიკვდილი) = 1799 წ.

*) იხილე «ივერია» № 166.

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო
საბჭოთაო

უცხო გაზეთს გადაუბეჭდავს
ჩვენად საიციხ-სამარცხვინოად,
«ივერიას» კი ეს ლანძღვა
მიაჩნია ხომ საღვთინოად!

ვისურვებთ, რომ «ივერიას»
ადარ სჭირდეს ეს სატყვივრანად:
ორთა ძმათა ფრანგელთაგან
მუდამ არ სდგეს მამულებთ მუივრანად.

რაუდენ საფაოხელი.

«ივერიის» არჩილურ შვიდთავის მიხამმა.

I

ნაქებია ქართულ ლექსში,
ილაბუზზე დღესეამს ერთ.
ქარგი რამ ჰქნა მეყრელთ ბანკის
მონღიას დარსებით:
ლარს ინახავს გამზურგშია
მტრთან მეფის სახელზედა,
ზარს ცემს ხშირად ნაცნობთ ჯიბეს,
სხეებსაც ანცმევს ანკესზედა...
ღროზედ იცის დაბალის თქმა,
ამაღლებს, როს სხვა ყუნჩობს,
ღიხაშხობსა რიყედ გასცემს,
იქ თავს იქებს, საღ სხვა მიერჯობს;
აღლექსანდრეს ჰკითხეთ გორში,
ნღობა ჰქონდა მას ვისაგან —
სთქვას, თუ «ღმერთმა აწ დაგვიხსნას
ამ გვარისა ბრძენისაგან!»

II

ხურღა-მურღა მჩხაბნელებში
მღონდაცა პირველია,
ნიჭთ მოკლებულთ ლეგიონში
შს ვარსკვლავთა მრიცხველია;
ლაქს ქორისას მარჯვედ ხმარობს,
იმას მოსდგამს ეს ზნე სრულად;
ილანძღვება, ხან მასხარობს,
ლექსებს ჰქაანის სხეებს ქურღულად;
ითავსება, ეპ იმ შშობელს,
ამ გვარ შვილით ენცა სრულად.

თ. გ—ჟ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ადგილობითი გაზეთებისაგან გავრცელებული
ხმები, ვითომც თბილისის სასულიერო სემინარიის
რექტორად დანიშნულია ბერ-მონაზონი ფილარეტ
ნიკოლსკი, რომელსაც წელს დაუმთავრებია სწავლა
პეტერბურგის აკადემიაში, ტყუილია. ჩვენ წინეთაც
გამოვაცხადეთ და ეხლა უწმიდესი სინოდისაგანაც
გამოცხადებულია, რომ ამ ადგილზე დანიშნულია
მოგილევის სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ტი-
ხონი. ამავე სემინარიიდან იყო გამოყვანილი თბი-
ლისის სემინარიის რექტორად ნამყოფი არქიმანდრი-
ტი ნიკოლოზი.

*
**

აგრეთვე ტყუილია ადგილობითი გაზეთებისა-
გან გავრცელებული ხმა, ვითომც კიევის და გალი-
ციის აწ განსვენებული მიტროპოლიტის ადგილზე
უკვე დაინიშნა საქართველოს ექსარხოსი პალაღაღიო.
ამ საქმის შესახებ ჯერეთ კიდევ არავითარიმე გან-
კარგულემა არ მომხდარა უმაღლესად, თუმცა არც
დიდი საეკეო არის, რომ ეს ადგილი მიეცემა მას.

სწორედ სასაცილოა ზოგიერთი გაზეთებისაგან
ასე დაბეჯითებით ცრუ ხმების გავრცელება.
გაზეთები, ალბად ცდილობენ, რომ გაზეთის გვერ-
დი გაეხონ, და იმისი დარდი არ აწუხებთ, მართა-
ლი იქნება ეს ამბები, თუ არა.

*
**

უწმიდესი სინოდის განკარგულებით იმერეთის
და გურია-სამეგრელოს ეპარქიებში უნდა გახსნილი-
ყო ოთხი თითო კლასიანი და ორი ორ-ორ კლა-
სიანი საეკკლესიო-სამრელო სკოლები. ამ სკოლე-
ბის შესანახავად გამოთხოვილი იყო 1800 მანეთი,
რომელიც უკვე იქმნა გარდაწყვეტილი. ამ ფულეზი-
დამ იმერეთის ეპარქიას ერგებოდა 900 მანეთი. მაგ-
რამ, სამწუხაროდ, ამ ფულეზის შესახებ ისეა კითხვა

დაყენებული თბილისის სემინარიის ნამყოფი რექტორის მამა არქიმანდრიტის ნიკოლოზისაგან, რომ 900 მანეთის ნაცვლად, შეიძლება, იმერეთის ეპარქიას ხედეს მარტო 600 მანეთი. ფიქრობენ 1800 მ. მონაწილეობა დაუღვან სოხუმის ეპარქიასაც...

* *

«მწყემსი»-ს რედაქცია, ღიდი ხანა ცდილობს, რომ ჩვენში საეკლესიო წიგნების ბეჭდვის საქმე გაადვილებულიყო. ამიტომ რედაქციას სურდა მოპოებული ყოფილიყო ყველა ყალიბი ხუცური ასოებისა, რომლებითაც იბეჭდებოდა ჩვენი საეკლესიო წიგნები უწინდელს დროში.

როცა უწმიდესი სინოდი ბეჭდავდა ჩვენ საეკლესიო წიგნებს, იგი მარტო თორმეტი ნომრის ასოებს ხმარობდა. ათი ნომრის ასოების ნაცვლად ხმარობდა იმეფ ნომრის ასოებს, მაგრამ სინგურით (წითელი ასოებით) ბეჭდვდა. ამ სინგურის ასოებით ბეჭდვა მეტად აძვირებდა საეკლესიო წიგნებს. ამისათვის «მწყემსი»-ს რედაქციამ შეუცვლეთა ლეიტენანტ მე-10 ნომრის ხუცური ასოების ჩამოსახსნელი ყალიბები (матрицы). ამ ახალი ასოებით დაბეჭდილს ნიმუშს წაიკითხავს მკითხველი ამ ნომერშივე. სწორეთ ესეთი ასოებით იბეჭდებოდა ჩვენი საეკლესიო წიგნები იმერეთის მეფის სოლომონ პირველის დროს.

* *

სამეგრელოსის სამღვდლოების დებუტატთა კრება დანიშნულია ახალ-სენაკში ამა ოქტომბრის 18. კრებაში, სხვათა შორის, უნდა განიხილოს სამეგრელოსის სასულიერო სასწავლებლის ხარჯთა აღრიცხვა და სხვა კითხვები ამ სასწავლებლის შესახებ.

* *

მღვდლის მ. ბესარიონ კელეჯარიძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! სასიხარულო მოვლენად მიმაჩნია, რომ რწმუნებული ჩემდამო ტაბაკინის წმიდის გიორგის ეკლესიის მრევლი ამ ჟამად ღიდი ყურადღებას აქცევენ თავიანთ ახლად აღშენებულ ეკლესიის შემკობას; თითოეული მათგანი სულითა და გულით მუცადინობს თავის სახელწევდ, ანუ რომელიმე თავის გარდაცვალებულის სულის მოსახენებლად რაიმე ნაყოფი შეწირას ეკლესიას. ამას

წინათაც იყო «მწყემსი» გამოცხადებული შემოაღნიშნული ეკლესიის შემწირველთა სია და ამ ბოლო დროსაც თან-და-თან ჩნდებიან მათი მიმბაძველნი. აი მიგალითად: მქერიემა დავით მახარობლის ძის ფერაძისა თინათინ ჩუბინიძის ასულმა შემოსწირა ერთი გარდამოსხნა, ღირებული 43 მ.; მქერიემა ბაღდინე ნიკაძემ გორგაძის ასულმა—ბარბიშ-ფეშხუმი, კამარა, კოეზი, ლახვარი, განსაზავებელი, დუარნი და ერთი სამირონე ხის კოლოფი თავის გაწყობილებით, ღირებული 23 მ., თებრონია ქლენტის ასულმა—ერთი ჯვარცმის ხატი, ტილოზე დახატული რამკაში ჩაჯენილი—10 მ., იოსებ ივანეს ძე ნიკაძემ 10 მ. ფულად და მქერიემა ანნა კლდიაშვილის ასულმა ერთი პატარა კანკელი—6 მ. და 50 კ., ამასთანავე სოფ. საჯავახოს მცხოვრებმა იოსებ ს. ძნელაძემ შემოსწირა ერთი წყვილი ბაიჩალი თავის გაწყობლობით, ღირებული—50 მან.

შემო ხსენებულ პირთ და განსაკუთრებით იოსებ ძნელაძეს თქვენი გაზეთის შუამდგომლობით, გულითად მადლობას ეუძღვნი როგორც მე, ისე მთელი ჩემი მრევლი და იმედი მაქვს, რომ ამ ღვთის მოყვარე პირთ კიდევ აღმოუჩნდებიან მიმბაძველნი.»

* *

მღვდლის იოანე სალაძისაგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმოზრჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც სხვადასხვა საეკლესიო ნივთები შესწირეს ჩემდამო რწმუნებულს ტელეფოს ეკლესიას და მასთან ერთობე დაიმიჯნულთა შემწირველ პირთა სიაც». გლენმა თედორე ღიბრაძემ და მისმა მეუღლამ შესწირეს ერთი რწყვილი ბაიჩახი და ერთი ღიდი შანდალი, ღირებული 35 მ.; ახ. აღაიი არეშიძე ფრანკს სანაწილე, ღირებული 30 მ.; გლენმა ნიკ. ხარნაძემ თავის ხარჯით მოჰყვდა წმ. გიორგის ხატი, რაზვდაც დაიხარჯა 40 მ.; ვასასი არეშიძემ თავის ხარჯით შეამკო სახარება; ანნა შოთაძემ შემოსწირა გვირგვინები, ღირებული 8 მ.; ელუკია ღიბრაძემ—ერთი სტოლი თავისი ვადასაფარებელით და ერთი შანდალი, ღირებული 6 მან.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში საინჟინერო-საინჟინეროებსა და კეთილ- ზნებობაზე.

საუბარი მრევლის მღვდლისა ეკლესიის მნიშვნელობაზე.

ძლიერ მოხარული ვარ, ძმანო, როდესაც ეხედვით ეკლესიაში სალოცავად მიმავალს ხალხს. სწორედ ძლიერ სასიამოვნო და ღირს-საქები საქმე არის ამ გვარი გულმოდგინება მართლ-მადიდებელი ერისა. და რომ ქრისტიანთა ეკლესიაში ამ გვარი მხეველობა სასარგებლო იქნეს, რომ მათა ლოცვამ სულიერი ნაყოფი გამოიღოს, საქარაო ცოდნა იმა მართებულის წესიერებისა, რომელსაც მოითხოვს ჩვენგანი ეკლესიაში. და რა წესიერება მოითხოვება ხედავს, ამას ჩვენ ადვილად გავიგებთ, თუმცა დავაყვირებთ და ჯეროვანს უკრავდნენ მივაქცევთ ეკლესიის მნიშვნელობას.

ეკლესია არის სახლი ღვთისა—საზოგადო სალოცველო. ეკლესიაში, უხილავად თვალთა ჩვენთა, სუფევს უფალი; ეკლესიაში იწირება უსისხლო მსხვერპლი, ტაძარში გყვანან მეობად კრებულნი წმიდანი.

მა დააკვირდით ამა ეკლესიის წმიდა კანკელს. აგერ აღსავლის კარის მარცხნივ ასენია ხატი ცოდილთა მფარველის ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა. კანკელის ზემოთ, სადაც კანკელი ანთია, თქვენ შენიშნათ მთელს რაზმს ღვთის საინო მყოფელთა, ჩვენთვის მლოცველთა და მსურავლ შემწეთა სულთა ჩვენთასა.

ეკლესია შეადგენს ჩვენთვის სულიერს სამკურნალოს. ცოდვთა შინა ვიშვებით და უსჯულოებათა შინა მიდგომილ ვართ; წმიდა მართლ-მადიდებელი ეკლესია აკურდგანვე შეუდგება ხალხე ჩვენი ცოდვების კურნებას, მაგალითად: წმიდა საიდუმლო ნათლის ღვთის იგი გებანს ჩვენ პირმშო ცოდვისაგან, საიდუმლო მირონ-ცხებით ამტკიცებს ჩვენს სულის წმიდის ნიჭთა, მთელს ჩვენს სიცოცხლეში იგი გვასაზრდოებს წმიდის საიდუმლო ზიარებით და

ქრისტეს მსახურთა ლოცვა-კურთხევით **ჰკურნებს**
ჩვენს ცოდვების წყალთა.

როდესაც რაივე სენისაგან ლოგინზე დაგდებული აღარ ძალგვიძს სიარული ეკლესიაში, მაშინ იგი თვით ჩვენს სახრეკელთა ვერგზუნის თვის მოსამახურე პირთ ზეთის საკურთხვად, ანუ სასიკვინო ზიარებისათვის.

სიკვილის შემდეგ, როდესაც ჩვენ ყველას დავაიწყებდით და ამ ქვეყნად ჩვენს სახელს აღარ ექნება ხანება, ეხსოვართ მხოლოდ ეკლესიას და ლოცვილობს იგი ჩვენი ცოდვების მოტყვებისათვის.

შრიად მოწყალე არის ჩვენ ცოდილთათვის დედა მართლ-მადიდებელი ეკლესია! წარმოიდგინეთ, რომ სიკვილის შემდეგ დავიწყებდით ყველას: მამას, დედას, ცოლ-შვილს და ნათესავებსაც. მარტო ეხსოვართ წმიდა ეკლესიას და იგი უყურისამდე არ გვივიწყებს ჩვენ.

ამის შემდეგ როგორ არ უნდა ვიყენებთ, ძმანო, კეთილ მორწმუნენი წმიდისა ეკლესიისა, როგორ არ ვეუყვარდეს ჩვენ იგი და ამ გვარ მისდამი სიყვარულს როგორ არ უნდა ვამტკიცებდეთ, რაც შეიძლება, ტაძარში ხშირის და მართებულის მსეველობით? მაგრამ, სამუშაოა, უნდა ვსაქუთავთ, რომ ბევრნი არიან იმისთანა ქრისტიანენი, რომელთაც ეკლესიაში სიარული სიკვილივით ეხარებთ და წმიდის ღვთის მსახურების დროს ჰპარებენ ლოთობასა და გარყვინილებაში; მათს დაზნეფულს სინიდის არ აღვიძებს: არც დიდესაწავლის ზარის რეკა, არც დარიცხება მოძღვრისა და არც მაგალითი ეკლესიაში მიმავალ მძათა

ნუ მიზაძეთ, ძმანო, ამ გვარ ქრისტიანებს, მთვან თქვენ ვერასდერ კეთილს ვერ ისწავლით გვარა სიზარმაცსა, ნაყოფინებისა და უძღვებლობისა. რაც შეიძლება ხშირად იარეთ ეკლესიაში, კვირა-უქმ დღეებში გავგონებისათანავე პირველის ზარის ხმისა გავიხურეთ სალოცავად. ლოცვის დროს განიშორეთ გულიდამ ყოველივე ქვეყნიური ამაო გულის თქმანი, იდეტა ჩუმთა, კრძალვით და მორიდებით. ნურც ვისმე დელოპარაკებით და ნურც არავის ლაპარაკს ყურის უფდებთ. დამაბლებულის თვლით, მუხლ-მოყორის და ხელგზმ აპყრობილი მხურვალეს გულთა ევედრეთ ღვთის თქმენი ცხოვნებისათვის, რომ თქვენის კეთილის მაგალითით მორბილდნენ გულნი გარეშართა და თქვენთან ერთად ისინიც გზდნენ ღირსნი ღვთის მადლითა. ამინ.

მღვდელი მისიელ გავაშლავი.

გ ა ნ ც ხ ა დ მ ბ ა ნ ი .

სამკურნალო

ს. ბ. თ. თ. ფ. ყ. რ. ი. ა. ს. ი.

ამოხმავლთა ავითამყოფთათვის

ღ

მუდმივ საწარლებით ქ. ქუთაისში.

აუადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილისათი საათიდან სამ საათამდის: შინაგან და უმწიფელების ავითამყოფებს მიიღებს ს. ბ. თ. თ. ფ. ყ. რ. ი. ა. ს. ი. სარწმუნოებას, გუნჯაფუას და სიფიფისის ავითამყოფობისათვის ს. ბ. თ. თ. ფ. ყ. რ. ი. ა. ს. ი. სარწმუნოებას და ჭაფას ავითამყოფობისათვის—ექიმი—ქალი მ. შ. ძალანი. თვალვით ავითამყოფებს კი მიიღებენ დილის თერთმეტი საათიდან ორ საათამდის

სამკურნალოასთან იქნება გამართული კაბინეთი ავითამყოფთა დასაზღვლად (მასაქისათვის) ექიმების ხელმძღვანელობით და კაბინეთი შარდისა და ნახეღის გამოსაყვლეად.

შსი ექიმობისა თითოეულ ნახეზელ ათი შაურია, ქონსილიუმი (ჩხევა), რომელიც შესდგება სამკურნალოს ყველა ექიმებისაგან, ელირება მ მანეთი შარდის თვისებათა გამოკლევა—ერთი მანეთი; შარდის გამოკლევა რაოდენობის მხრით—სამი მანეთი; მიკროსკობით გამოკლევა ნახეღისა—ორი მანეთი; დაზღვისა (მასაქის), აგრეთვე საავადმყოფოში დაწოლისა და მოვლის ფასი—გარეგნით იქმნება. გადამღები ავითამყოფობით სწეულებს საავითამყოფოში დასაწოლად არ მიიღებენ.

მომსყველ ავადმყოფებს მიიღებენ პირველ ნომერამდის ზოკრისა სახლებში, ბულვარის პირდაპირ და მუდმივი ქვეშაგებინა—საწოლიანი სამკურნალო იქნება ბალახეანის ქუჩაზედ, სტეფანოვის სახლში; ხოლო პირველ ნომერამდენ მომ. ელვლ ავითამყოფებს მიიღებენ სტეფანოვის სახლში და მუდმივი საწოლიანი სამკურნალო იქნება ს. ბ. თ. თ. ფ. ყ. რ. ი. ა. ს. ი. სასუოკ სახლში, ვაგარინის ქუჩის შესახვევში, სომხების ეკლესიის მახლობლად.

სამკურნალოს დარეკტორი ს. ბ. თ. თ. ფ. ყ. რ. ი. ა. ს. ი.

გამოვიდა და ისყიდებ

ქართულთა ამხამავლობის

წიგნის მალხაზაძე:

პირველი სპი ტომი

ა. ე ა ზ ბ ე გ ი ს ა

(ა. მონხუბარძის).

თხზულების ავტორის სურათით და ფაქსიმიელით. ფასი ცალკე თითო ტომისა — — 1 მ. 20 კ. მზენიერის ყდით საუკ. ქალ. თითო ტომი 2 მ. 50 კ. ხოლო სამივე ტომი ერთად — — 7 მ. >

ამ ტომებში მოთასტებულია შემდეგი მოთხრობები: ელაგუჯა, ციგო, ელისო, მამის მკვლეელი, განკიცხული, მოძღვარი და ციცი, და სულ სამივე ტომი შეიცავს ერთად 1400 გვერდს.

წიგნები ისყიდება აგრეთვე ქართველთა ამხანაგობის ადენტებთან: სოხუმში—ფილიპე ერკომაიშვილ, ბათუმში—ბესარიონ კლანდაძე, ფოთში—კონსტანტინე ნოდია (წიგნის მალაზია), რუსთაველში—კონსტ. თვარტოილაძე და მამინაშვილი (წიგნის მალაზია), ქუთაისში—ძმ. წერეთლები (წიგნის მალაზია), დ. ზესტაფანში—იოს. კაკაბაძე, პირფლავში—ილია ტვიჩაძე, ბუჯაფანში—ადრ. შეფთაძე, საშურში—იოს. ფანცულაია, ახალციხეში—ნიკ. ასათიანი, გორში—არს. კლანდაძე (წიგნის მალაზია), განჯაში—იკ. ნოდია, თელავში—მიხ. ცისკარაშვილი, სამტრედიასში—გოდერძიშვილი და სუფსაში—ნიკ. იოსელიანი.

შინაგარსა: ოფიც. ნაწილი: უმღლესი მანიფესტი. — განჯარულებანი უწმადესი სინოდისა. — არა ოფიც. ნაწილი: საქართველოს ძველი ტაძრები და მათი მნიშვნელობა. — ეკუას და გალიციის მატრარქალიტი მლატონი (ნეგოლოგი). — შარაქის ასლად აღმუხეზული ეკლესიისა ქრისტეს გულის სასულზედ. — აღ. ფაშაგის (მონხუბარძის) შესახებ. — სასტორიო მასალა. (გუჯარები). — ეკუასას. — ეკუადა. — სარწმუნოებაშედათავის მამაძე. — ახალ ამბები და შენაშენები. — სწავლა და მუცნიერება ქრისტიანობაზედ სარწმუნოებას და კეთილზნობაზედ: საზარბა მრეკლას მღვდლის ეკლესიის მნიშვნელობაზედ. — განცხადებანი.